

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ჯამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის გადაწყვეტილება №4/3, 28.02.2020

სენატის თავჯდომარე, რექტორი პროფესორი

_____ ი. კაცაძე



აკადემიური თანამდებობის დატოვების
გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი

ND 2-O04

შეთანხმებულია

რექტორის პირველი მოადგილე _____ ი. კაცაძე

რექტორის მოადგილე _____ ა. კახიძე

რექტორის მოადგილე _____ მ. ლორია

შემუშავებულია:

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი _____ რ. ყიფიანი



შინაარსი

1	საკანონმდებლო ბაზა	3
2	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები	3
3	საერთო დებულებები	6
4	კონკურსის გამოცხადება	6
5	საკონკურსო კომისიები	7
6	აკადემიის საპროცედურო კომისია	8
7	მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად	9
8	აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის დაწესებული შეზღუდვები, შრომითი ხელშეკრულების პირობები	12
9	აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად განცხადებების მიღება	13
10	საკონკურსო კომისიის სამუშაო პროცესის მიმდინარეობა	15
11	კონკურსის შედეგებზე საბოლოო გადაწყვეტილება	18
12	გავრცელების არე	18
13	დანართი 1. კანდიდატთა სარეგისტრაციო ჟურნალი	19
14	დანართი 2. კონკურსანტის პირადი საქმის აღწერა	20
15	დანართი 3. კონკურსანტის ანკეტა	21
16	დანართი 4. საარჩევნო ბიულეტენი	30
17	დანართი 5. განცხადების ბლანკის ფორმის ნიმუში	31

ND 2-O04

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეობით ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი მიათვლება როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაშარი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კორექტირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bmsa.edu.ge



1. საკანონმდებლო ბაზა

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
2. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
3. „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ 2012 წლის 10 ივლისის №1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული “ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება” ND 2-001;
5. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
6. დოკუმენტაციის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
7. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
8. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2-Q05-03;

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. ტერმინები

- 1.
2. **ატესტაცია** – პროფესორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
3. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
4. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური** – აკადემიის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაც სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემატიური შეფასება,
5. **ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური** - აკადემიის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაც აკადემიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2000 მოთხოვნების შესაბამისად.
6. **სენატი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლიერება ასლი იხილო ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



7. **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
8. **აკადემიური წოდება** – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის;
9. **პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
10. **ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
11. **ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
12. **ასისტენტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;
13. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს);
14. **აკადემიის საპროცედურო კომისია** – კომისია, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიღებას და რეგისტრაციას და საკონკურსო კომისიისათვის გადაცემას.
15. **საკონკურსო კომისია** – კომისია, რომელიც განიხილავს საკონკურსო დოკუმენტაციას და საკონკურსო პირობების შესაბამისად ავლენს გამარჯვებულს;
16. **დოქტორანტი** – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;
17. **დოქტორი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურისათვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება;

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მათვალისწინებს დოკუმენტის აქტიურობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პრივლეგია პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი მათვალისწინებს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bmsu.edu.ge



18. საზღვაო უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაოსნო მეცნიერებებში სათანადო კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით;

19. ტერმინები, რომლებიც განმარტებული არ არის ამ წესში ენიჭებათ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში და აკადემიის წესდებაში მინიჭებული მნიშვნელობა.

2.2. შემოკლებები.

1. ND – ნორმატიული დოკუმენტი;

2. აკადემია – სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენები ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულნი ვე ზემოლარი“. რევიზია ასევე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაშური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. საერთო დებულებები

1. „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობებისაგან.
2. აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან და ასისტენტებისაგან.
3. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი (მათ შორის A კატეგორიის პროფესორი), ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი
4. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.
5. ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;
6. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ამტკიცებს სენატი.
7. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
8. აკადემიური თანამდებობების დაკავების პირობები დადგენილია წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესით.

4. კონკურსის გამოცხადება

1. სენატის მიერ დამტკიცებული წესით, დადგენილ ვადებში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, აკადემიის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით აცხადებს ღია კონკურსს. ბრძანებაში განსაზღვრულია პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორების და ასისტენტის საკონკურსო ადგილების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, კონკურსის პირობები, კანდიდატთა რეგისტრაციის, განცხადებების განხილვისა და კონკურსის ჩატარების ვადები.
2. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს საკონკურსო ერთეულების რაოდენობას და შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სენატს.
3. საჯარო გაცნობისათვის, ბრძანება უნდა განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე ან/და გამოიკრას აკადემიის ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო ადგილებზე.

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინამდებარე შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



4. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის.

5. საკონკურსო კომისიები

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების მიზნით ფაკულტეტებზე იქმნება საკონკურსო კომისიები,

2. კომისიის წევრთა შერჩევა ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, დეკანის წარდგინებით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) უმაღლესი განათლება/ აკადემიური ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური სამუშაო გამოცდილება, სამეცნიერო მიღწევები/დარგის სპეციალისტი;

დ) უცხო ენების ცოდნა გამოცხადებული ვაკანტური აკადემიური თანამდებობის მიხედვით;

ე) და სხვა მიღწევები, რომელიც ადასტურებს კომისიის წევრის კომპეტენტურობას აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შერჩევის საკითებში.

3. რომელთა შემადგენლობა ფორმირდება შემდეგნაირად:

ა) ფაკულტეტების დეკანები ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიის რექტორს საკონკურსო კომისიის შემადგენლობისათვის წარუდგენენ არანაკლებ 9 კანდიდატურის რეკომენდაციას, რომლებიც არ უნდა იკავებდნენ აკადემიაში აკადემიურ ან/და ადმინისტრაციულ თანამდებობას.

ბ) დეკანი მოხსენებითი ბარათით წარუდგენს რექტორს საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატების ავტობიოგრაფიასა და ინფორმაციას სამეცნიერო /პროფესიული საქმიანობის შესახებ .

გ) განხილვის შემდეგ რექტორი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიების შემადგენლობას 5 ან 7 კაცის ოდენობით. თუ საკონკურსოდ გამოცხადებული პოზიციების რაოდენობა არ აღემატება 20-ს, რექტორი უფლებამოსილია ყველა ფაკულტეტისთვის შექმნას ერთი საკონკურსო კომისია. ასეთ შემთხვევაში თითოეული ფაკულტეტი წარმოადგენს კომისიის წევრობის 3-3 კანდიდატს.

დ) დეკანი მოხსენებითი ბარათით წარუდგენს რექტორს საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატების ავტობიოგრაფიასა და ინფორმაციას სამეცნიერო /პროფესიული საქმიანობის შესახებ .

4. საკონკურსო კომისიები:

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის აჩევრით ნაცვლი ანუ ის არ აქვს რევიზია „ღრმადული გეგმპლარი“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ანუ მიათვლება როგორც „არაკორორირებული“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ანუ იხილო ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



- ა) განიხილავენ დარეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, მის სისრულეს და შესაბამისობას საკონკურსო მოთხოვნებთან;
- ბ) განიხილავენ კანდიდატის მიერ აკადემიურ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში სააუდიტორიო და არასააუდიტორიო დატვირთვის შესრულების შესახებ ინფორმაციას, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციას;
- გ) განიხილავენ აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ინფორმაციას;
- დ) განიხილავენ ხარისხის სამსახურის მიერ წარმოებული შეფასების/მონიტორინგის დასკვნებს;
- ე) განიხილავენ სტუდენტთა შეფასებებს;
5. კომისია საჭიროების შემთხვევაში კონკურსში მონაწილე კანდიდატებთან ატარებს გასაუბრებას ან/და დანიშნულ ვადაში ითხოვს საჩვენებელი ლექციის ჩატარებას.
6. ეჭვის არსებობის საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ნაშრომის/წარმოდგენილი მასალის პლაგიატზე გადამოწმება.
7. თანაბარი გამოცდილების მქონე კანდიდატების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კანდიდატს რომელსაც გააჩნია საგრანტო და საკვლევ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.
8. კომისია ავლენს გამარჯვებულს/ებს და რეკომენდაციას უწევს რექტორის წინაშე.
9. კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ შეარჩიოს კანდიდატი და ვაკანტურად დატოვოს საკონკურსო პოზიცია (არ წარუდგინოს რექტორს რეკომენდაცია).
10. განიხილავს კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილ საჩივრებს;
11. საკონკურსო კომისიის წევრები იღებენ შრომის ანაზრაურებას, რომლის ოდენობას ადგენს სენატი.

6. აკადემიის საპროცედურო კომისია

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით აკადემიაში იქმნება საპროცედურო კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი.
2. კომისია შედგება 5 წევრისაგან. საპროცედურო კომისიის წევრები იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში ან/და კონკურსში მონაწილე კანდიდატები. საკონკურსო ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით, რექტორის

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მათვალეს დოკუმენტის აქტუალობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი გეგმული“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი მათვალეს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



ბრძანებით შესაძლებელია საპროცედურო კომისია დაკომპლექტდეს ამ პუნქტისაგან განსხვავებული რაოდენობით.

3. საპროცედურო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა ხდება საპროცედურო კომისიის მიერ ღია კენჭისყრით, შემდეგი წესით:

ა) საპროცედურო კომისიის პირველ სხდომაზე, ხდება კომისიის თავმჯდომარის არჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა (თუ თავმჯდომარეობის კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, სახელდება კომისიის სხვა წევრი).

ბ) კომისიის თავმჯდომარის რეკომენდაციით, ხდება კომისიის მდივნის კანდიდატურის არჩევა, ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

4. კომისიის მდივნის ფუნქციური მოვალეობაა სხდომის მიმდინარეობის ჩანაწერის წარმოება, რომლის საფუძველზეც ხდება კომისიის სხდომის ოქმის შედგენა. სხდომის დასრულების შემდეგ მდივანი ჩანაწერს აცნობს სხდომის მონაწილეებს, რომლებიც გაცნობას ხელმოწერით ადასტურებენ. ხელნაწერის საფუძველზე მდივანი ამზადებს სხდომის ოქმს.

5. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა განცხადებების მიღებას და წარმოდგენილი დოკუმენტების რეგისტრაციას წინამდებარე წესის მე-9 მუხლით დადგენილი წესით.

7. მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

1. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილი მოთხოვნებია:

ა) A კატეგორიის აკადემიური თანამდებობის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტს მოეთხოვება:

ა.ა) იგი არ უნდა იყოს 65 წელს მიღწეული (მას არ უნდა უსრულდებოდეს 65 წელი კონკურსის მიმდინარეობისას);

ა.ბ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი სამუშაო გამოცდილების დადასტურებისათვის. ასევე, დახასიათება-რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლებელში შესრულებული აკადემიური აქტივობები, სამკატო ვალდებულებები, არსებობის შემთხვევაში გრანტებში ჩართულობა და პროექტების მოზიდვაში მიღებული მონაწილეობა.

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედებს არსებული დოკუმენტის ანგარიშის ნაცვლი აქლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ცვლილება“. რევიზია აქლი დაატანს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული აქლი ჩათვლით რევიზიის „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი აქლი იხილო ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



- ა.გ) დარგის ან სასწავლო კურსის სწავლება-განვითარების კონცეფცია ინგლისურ ენაზე;
- ა.დ) საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შედგენილი სილაბუსი, კანდიდატის მიერ წარდგენილი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის ინგლისურ ენაზე;
- ა.ე) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი არჩეული დარგის ან მასთან მომიჯნავე დარგში შესაბამისი პროფილით; პროფესიული ნიშნით არჩევის შემთხვევაში კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დამატებით არანაკლებ 36 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი 3000 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის ან 3000 კვტ სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე გემზე, მათ შორის, 12 თვე მართვის დონეზე, რომელთაგან სულ მცირე 6 თვის სტაჟი უნდა ჰქონდეს ბოლო 10 წლის განმავლობაში, ან ბოლო 10 წლის განმავლობაში გავლილი აქვს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული განახლების კურსები;
- ა.ვ) კონკურსანტს უნდა გააჩნდეს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება;
- ა.ზ) უნდა გააჩნდეს უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობის გამოცდილება;
- ა.თ) უნდა შეეძლოს წარმოადგენილ სასწავლო კომპონენტებში სრულყოფილად ინგლისურ ენაზე კურსის წაყვანა;
- ა.ი) უნდა გააჩნდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის/დარგის ან მასთან მომიჯნავე დარგში შესაბამისი პროფილით;
- ა.კ) უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონგრესებში და სხვა სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ა.ლ) წარმოადგინოს სამეცნიერო ჟურნალებში და/ან კრებულებში ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომის ნუსხა და არაუმეტეს 2 ნაშრომის ასლი კონკურსანტის შერჩევით;
- ა.მ) საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება (არსებობის შემთხვევაში);
- ა.ნ) გამოქვეყნებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კონსპექტი, მეთოდური მითითება, პროგრამული პროდუქტი) ბეჭდური ან ელექტრონული სახით;
- ბ) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტს მოეთხოვება:**

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებების გეგმვაში“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



- ბ.ა) იგი არ უნდა იყოს 65 წელს მიღწეული (მას არ უნდა უსრულდებოდეს 65 წელი კონკურსის მიმდინარეობისას);
- ბ.ბ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა ან მასთან გათანაბრებული საბუთი სამუშაო გამოცდილების დადასტურებისათვის. ასევე, დახასიათება-რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას - სასწავლებელში შესრულებული აკადემიური აქტივობები, სამტატო ვალდებულებები, არსებობის შემთხვევაში გრანტებში ჩართულობა და პროექტების მოზიდვაში მიღებული მონაწილეობა.
- ბ.გ) დარგის ან სასწავლო კურსის სწავლება-განვითარების კონცეფცია;
- ბ.დ) საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შედგენილი სილაბუსი, კანდიდატის მიერ წარდგენილი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის;
- ბ.ე) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი არჩეული დარგის ან მასთან მომიჯნავე დარგში შესაბამისი პროფილით;
- ბ.ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის/დარგის ან მასთან მომიჯნავე დარგში შესაბამისი პროფილით;
- ბ.ზ) სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონგრესებში და სხვა სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბ.თ) სამეცნიერო ჟურნალებში და/ან კრებულებში ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომის ნუსხა და არაუმეტეს 2 ნაშრომის ასლი კონკურსანტის შერჩევით ;
- ბ.ი) საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება (არსებობის შემთხვევაში);
- ბ.კ) გამოქვეყნებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კონსპექტი, მეთოდური მითითება, პროგრამული პროდუქტი) ბეჭდური ან ელექტრონული სახით.

გ) ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტს მოეთხოვება:

- გ.ა) იგი არ უნდა იყოს 65 წელს მიღწეული (მას არ უნდა უსრულდებოდეს 65 წელი კონკურსის მიმდინარეობისას);
- გ.ბ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა ან მასთან გათანაბრებული საბუთი სამუშაო გამოცდილების დადასტურებისათვის. ასევე, დახასიათება-რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას - სასწავლებელში შესრულებული აკადემიური აქტივობები, სამტატო ვალდებულებები, არსებობის შემთხვევაში გრანტებში ჩართულობა და პროექტების მოზიდვაში მიღებული მონაწილეობა.

ND 2-004
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 9
რევიზიის თარიღი: 28.02.2020
მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი ცვლილებები“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



შემთხვევაში გრანტებში ჩართულობა და პროექტების მოზიდვაში მიღებული მონაწილეობა.

გ.გ) საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შედგენილი სილაბუსი კანდიდატის მიერ წარდგენილი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის და საკუთარი შეხედულებისამებრ დარგის ან სასწავლო კურსის განხორციელების კონცეფცია;

გ.დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის/დარგის ან მასთან მომიჯნავე დარგში შესაბამისი პროფილით;

გ.ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში.

გ.ვ) ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ;

გ.ზ) სამეცნიერო ჟურნალებში და/ან კრებულებში ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომის ნუსხა და არაუმეტეს 2 ნაშრომის ასლი კონკურსანტის შერჩევით, გამოქვეყნებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კონსპექტი, მეთოდური მითითება, პროგრამული პროდუქტი) ბეჭდური ან ელექტრონული სახით.

დ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტს მოეთხოვება:

დ.ა) იგი არ უნდა იყოს 65 წელს მიღწეული;

დ.ბ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დახასიათება-რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან;

დ.გ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის/დარგის ან მასთან მომიჯნავე დარგში შესაბამისი პროფილით.

ე) ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტს მოეთხოვება:

ე.ა) იგი არ უნდა იყოს 65 წელს მიღწეული (მას არ უნდა უსრულდებოდეს 65 წელი კონკურსის მიმდინარეობისას);

ე.ბ) უნდა იყოს დოქტორანტი და წარმოადგინოს დოქტორანტის დამადასტურებელი დოკუმენტი სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 30 კრედიტის შესრულებით.

ND 2-004
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 9
რევიზიის თარიღი: 28.02.2020
მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენაობა ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებები“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



2. სენატი უფლებამოსილია დაამტკიცოს ამ დებულების მე-8 მუხლისაგან გასხვავებული ან დამატებითი საკონკურსო პირობები, რომელიც რეგისტრაციის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა უნდა გასაჯაროვდეს.

3. აკადემიის ნავიგაციის ფაკულტეტისა და საინჟინრო ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იყოს სათანადოდ კვალიფიცირებული პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის კომპეტენცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. კონკურსში პროფესიული ნიშნით მონაწილე კანდიდატებს:

ა) მიღებული ჰქონდეს სათანადო მითითებები და ინსტრუქციები შეფასების მეთოდებსა და პრაქტიკაში;

ბ) ჰქონდეს შეფასების განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება;

გ) ჰქონდეს არანაკლებ 36 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი 3000 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის ან 3000 კვტ სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე გემზე, მათ შორის, 12 თვე მართვის/ექსპლუატაციის დონეზე, რომელთაგან სულ მცირე 6 თვის სტაჟი უნდა ჰქონდეს ბოლო 10 წლის განმავლობაში, ან ბოლო 10 წლის განმავლობაში გავლილი აქვს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული განახლების კურსები ან პროფესიული ნიშნით საზღვაო აკადემიაში ბოლო 10 წლის განმავლობაში აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის 4 წლის გამოცდილება;

5. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მოცხადებულ ღია კონკურსში რეგისტრირებულ კონკურსსანტთა შეფასების კრიტერიუმებად განისაზღვროს:

ა) მოტივაცია;

ბ) კომინიკაბელურობა;

დ) დახასიათება-რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან;

ე) სასწავლო კურსის სილაბუსი;

ვ) ინგლისური ენის ფლობა - იმ შემთვევაში, თუ ამას მოითხოვს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობისათვის წაყენებული პირობა.

ზ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება (პედაგოგიური სტაჟი);

თ) დარგის ან სასწავლო კურსის სწავლება-განვითარების კონცეფცია;

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის აჩვენაობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



ო) სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონგრესებში და სხვა სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

კ) სამეცნიერო ჟურნალებში და/ან კრებულებში გამოქვეყნებული ნაშრომები;

ლ) საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება;

მ) გამოქვეყნებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კონსპექტი, მეთოდური მითითება, პროგრამული პროდუქტი) ბეჭდური ან ელექტრონული სახით;

8. აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის დაწესებული შეზღუდვები, შრომითი ხელშეკრულების პირობები

1. პირთან რომელიც აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონურსის შედეგად იქნება არჩეული დაიდება შრომითი ხელშეკრულება შემდეგი პირობების (შეზღუდვების) გათვალისწინებით:

ა) პირი, რომელიც დასაქმებულია სხვა დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე სრული სამტატო დატვირთვით აკადემიაში შეიძლება დასაქმდეს აკადემიურ თანამდებობაზე ნახევარ სამტატო განაკვეთზე.

ბ) პირი, რომელიც დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე სრულ სამტატო განაკვეთზე, აკადემიაში დასაქმდება აკადემიურ თანამდებობაზე ნახევარ სამტატო განაკვეთზე;

გ) პირი, რომელიც დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე ნახევარ სამტატო განაკვეთზე, აკადემიაში დასაქმდება აკადემიურ თანამდებობაზე სრულ სამტატო განაკვეთზე;

დ) თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება ამ პუნქტის ა-გ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მდგომარეობა, პირი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს საზღვაო აკადემიას.

ე) თუ პირი დამალავს ამ მუხლი პირველ პუნქტში მითითებულ გარემოებებს, რის შესახებაც ცნობილი გახდება საზღვაო აკადემიისთვის, მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება წყდება.

2. პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში უზრუნველყოს სალექციო კურსისა და სამუშაო რვეულის (სავარჯიშოების კრებული) მომზადება. იმ შემთხვევაში თუ ერთი პირი ახორციელებს ერთ სალექციო კურსზე მეტს,

ND 2-004

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 9

რევიზიის თარიღი: 28.02.2020

მოქმედებაშია: 29.05.2009

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის აჩვენაობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცვლებები“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



იგი ვალდებული ყოველ მომდევნო წელს მოამზადოს სალექციო კურსის და სამუშაო რვეულის (სავარჯიშოების კრებული) თითო სალექციო კურსისთვის.

3. პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არჩეული პირი ვალდებულია მოამზადოს ყოველწლიურად ერთი სტუდენტი კონფერენციისთვის.

4. აკადემიური პერსონალის საშტატო და დამატებითი საათობრივი დატვირთვის ოდენობა დგინდება სენატის გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. თუ პირს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მსვლელობის პროცესში ან კონკურსის გამოცხადების წელს უსრულდება 65 წელი, მასთან არ გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

6. ამ მუხლში მითითებული შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირთან წყდება შრომითი ურთიერთობა.

9. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად განცხადებების მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით (დანართი 5 და დანართი 2) განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს საპროცედურო კომისიას კონკურსში მონაწილე კანდიდატად დარეგისტრირების მიზნით. რეგისტრაცია ხდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი 1).

